საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 135 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

„ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №104 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/03/2016, 020090000.10.003.019168) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სამინისტროები ყოველი წლის 30 ივნისამდე ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს №3 დანართის შესაბამისად.“.

2. დანართი №5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი №5

პროგრამების საშუალოვადიანი ბიუჯეტი (2017-2020 წწ.)

პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების დასახელება		მთლიანად მიმართული სახსრები (ათასი ლარი)					მ.შ. დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)				
პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
	I ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა										
	I პროგრამა										
	II პროგრამა										
	III პროგრამა										

	II ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა										
	I პროგრამა										
	II პროგრამა										
	III პროგრამა										